1912 ნაპალოული

ყაზაგაფილი შუონალი

· მსირე წლოვანთათვის ·

აპრილი.
№ 8

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წელიწადი მე-VIII. № 8. აპრილი, 1912 წ.

საშიშარი მხეცი.

საქართველოს სახელმწიფო
* ეროვნული * თბილისი
* ბიბლიოთეკა *

შინაარსი:

I—საშიშარი მხეცი,—სურ. 1

II—გაზაფხული,—ლექსი მ. უზნაძისა 3

III—ძაღლი და კატა,—(მოთხრ.) ლეო ქიაჩელისა . . 4

IV—მურია, მელა და ბებია,—(დასასრული) ირ. ევდოშვილისა 12

V—ბუზი,—(ფრანგულიდან) თარგ. ვ. კ—ისა. . . . 18

VI—როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან,—შემდეგი (გაგრძელ.), გ. ანთელიძისა 20

VII—გასართობი: რებუსი და აღსნა 24

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.

გაზაფხული.

ზემ ოქროს დროშა მთის წვერზე აღმართა,
ააფრიალა
ბინდით მოცული ქვეყანა ათასფერად ააბჟუვ-
რიალა...
ნაკადმა ეინვის ბორკილი გასტეხა—გაატი-
ალა;—
ვერცხლის ტალღები მზის სხივზე დაფერა,
ააჩხრიალა...

ტოროლამ ჩანგი ლაჟვარდში მომართა, ააწკრიალა;
ბულბულმა მწვანე ბუჩქნარში დასტვინა, შეიფრთხიალა!
ნიავმა ფრთები შეისხა, დაჭყარა ცრემლი ცქრიალა
და ფოთლით მოსილ მიდამოს ფრთა გაჭკრა, ააშრიალა!..

მ. უზნაძე.

♣ ♣ ♣

ძაღლი და კატა.



ბა ჭკვიანი ძაღლია იმედა! როგორი გამომეტყველება აქვს სახისა და განსაკუთრებით კი თვალების! მორჩილია იმედა ელიზბარის ოჯახისა და ერთგული მცველი იმის სახლკარის! მეთორმეტე წელიწადია, რაც ემსახურება ელიზბარის კარმიდამოს.

ახლა საწყალი სიბერის გამო თვალ-ცრემლიანია, მჭლე და ერუ! იმედას ამიტომ ეველა უწმინდურს ეძახის და ახლო არ იკარებს. ელიზბარ მოკლას უპირებდა კიდევაც!

— წვალობს ჰირუტეკი, და ცოდვაა მისი ცოცხლად დატოვება!

მაგრამ იმედა ელიზბარის უმცროს ვაჟს არსენას უყვარს და არაფის აძლევს იმის მოკვლის ნებას. არსენას კარგად ახსოვს, რომ იმედა ერთ დროს ეველას უყვარდა, რომ იმედა წინად განთქმული ძაღლი იყო. ძაძინ იმედა ასე დაძაბუნებული როდი იყო! გულიც უჭრიდა, თვალიცა და ყურიც. მარდი იყო და მხიარული. არსენასთან თამაშობდა, როგორც ტოლი, და არსენისებურ მოუსვენრობას იჩენდა. არსენას ეს არ დაავიწყდება და აკი კიდეც ხშირად ეუბნება იგი იმედას:

— ნუ გეშინია, ჩემო იმედა! არა გიჭირს რა! გახსოვს ჩვენი ცელქობა და ნავარდი? კარგად იყავი, ნუ რას ნაღვლობ!—

იმედაც გრძნობს ასეთ უურადღებას, მადლიერი თვალებით უეურებს არსენას და კუდის ქნევით გვერდში ამოუდგება, თითქო იმის თქმა უნდა,—გული კვლავ მერჩის, მაგრამ... რა ვქნა ბედშავმა, რომ ფეხები არ მემორჩილებიანო!

არსენა და იმედა მეგობრები არიან. თითქმის ეოველთვის ერთად არიან. როცა არსენა თამაშობს მინდვრად, იმედაც მასთანაა და უკანა ფეხებზე დამჯდარი თვალ-მოუშორებლად უეურებს. ხან-და-ხან მოხდება ხოლმე ბურთის თამაშში, რომ არსენას გამოედევნებიან ამხანაგები და წამოეწევიან.—



არსენა კი განთქმული მოთამაშეა ბურთისა. მაშინ ბურთი შეიკრება, და არსენასაც დიდი სიმარჯვე სჭირია, რომ ბურთი არ დაუთმოს მოპირდაპირეებს. ამას რომ მოჰკრაკს იმედა თვალს, ჩქარი ნაბიჯით წამოვა შეჯგუფულ მოთამაშეებისაკენ, შორი-ახლო დადგება და თვალით ეძებს არსენას; ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და-ხან დაიუეფებს კიდეცა—არსენა არ-ვინ დამიჩაგრონო! მა-გრამ არსენა უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოდის და ბურთით ხელში წინ გაექანება.

იმედას მაშინ სიხარულით დაავიწყდება სიბერე და აღტა-ცებული უეფით გამოედევნება არსენას, თითქო არსენას გამარ-ჯვება მისი გამარჯვებაც იეოს!

ჰაი, რომ დაბერდა იმედა!.. ჰაი, რომ დაბერდა!..

*
* *

დაბერდა იმედა, თორემ ცბიერი კატა-ციცუნია როგორ გაუბედავდა იმას, რასაც ახლა უბედავს?

ზამთრის ჰირი იეო. ტეე, მინდორ-ველი ზამთრის მო-ლოდინში გულჩათხრობილნი იეენენ. საკმაოდ ცივდა. არსე-ნა და იმედა შემოსხდომოდნენ კერას და ცეცხლზე თბებოდნენ. ციცუნია კი შესკუპულიეო სკამის ზურგზე და ნელის კრუ-ტუნით თეალემდა. დრო-გამოშეებით ულვაშებს გაალმაცურებდა, ნახევრად გამოაღებდა მარჯვენა თვალს და მალულად გადახე-დავდა იმედას და არსენას. არსენა კი ჩვეულებრივად ეალერსე-ბოდა იმედას, რომელიც ზამთრის ჰირის სუსხზე ერთიანად-დავარდნილიეო და ღონე-მიხდილიეო.

— ზამთარი მალე გაივლის, ჩემო იმედა: გაზაფხული და-გვიდგება, ზაფხულიც, და ჩვენ კვლავ ვინავარდებთ, ბურთს ვითამაშებთ!—ეუბნებოდა არსენა იმედას და ხელს უსობდა თავ-ზე, კისერზე; იხუტებდა და ეალერსებ ოდა.

ციცუნიას კი ეს არ მოსწონდა. ვინ იცის, რას ფიქრობ-და იგი, როცა სკამის ზურგიდან სკამის დასაჯდომზე დაახტა, ერთი გრძლად გაიზმორა და მოურიდებლად იმედას ჰირთან ცხვირს დაალეფინა. იმედამ თავი ასწია. არსენამ ვერ მოასწრო კატის სკამიდან ჩამოგდება, რომ ციცუნიამ მარჯვენა თათით

კარგად მოქნეული სილა გააწნა იმედას და თითონ თვალის დახამხამებაზე კიბით სხვენზე შევარდა.

— აი, შე უსინიდისო! ავადმყოფს სცემ?—შეუტია კატას არსენამ და გამოეკიდა.

შეურაცხყოფილი იმედაც ეეფით გამოექანა სხვენზე მიდგმულ კიბისკენ, მაგრამ ფეხებმა უმტეუნეს, და წინა ფეხებში ჩაიკეცა!

ეს წეეული ციცუნია მუდამ გადამტერებული ჭუავდა იმედას!



არსენა კი ავიდა სხვენზე, მაგრამ ცოცუნიამ მის თვალწინ სხვენის მეორე ბოლოდან აუჩქარებლად ჩაცოცდა სამზარეულოზე მიდგმულ მარანში და თვალიდან დაეკარგა არსენას.

— არ შეგარჩენ, იცოდე! არ შეგარჩენ, მოღალატევ! დამაცადე! სად წამიხვალ?—დაემუქრა არსენა კატას და ისევ ძირს ჩამოეშვა.

— გეტკინა, იმედა!? სად მოგარტყა, სად ი წყეულმა?— ჩვეულებრივის ალერსით მიჭმართა მან იმედას, რომელმაც ბასუხად კუდი გაიქნია—თითქო თქმა უნდოდა—,,არაფერიო,'' და დაჩაგრულის თვალებით შეხედა არსენას.

— თუ სამაგიერო არ უზღო, მე არსენა არ ვეოფილვარ! მისი ხერხები კი ვიცი! ნუ ნაღვლობ, ჩემო იმედა! მაგის სეირს გაეურებინებ!—აქშვიდებდა არსენა იმედას.

იმედა გრძნობდა ასეთ მხურვალე თანაგრძნობას და გული უკვდებოდა, რომ ამ დროდის მიაღწია.

*
* *

ზამთარი გასულიეო. გაზაფხულს გაეშალა ფრთები და ტეე ათასფერ საცქელში მოეკაზმა.

ნაშუადღევის მზე ანათებდა. არსენა წიგნით ხელში იჯდა ხის ძირში და ხმამაღლა კითხულობდა უფროსის ძმის მიერ მოცემულ გაკვეთილს. იმედა მის გვერდით იწვა და არაჩვეულებრივად წკმუტუნებდა. ციცუნია, აივანის კიბეზე ჩამოძჯდარი, ძზეზე ითბობდა. იგი იმედას თითეულ დაემუილებაზე ეურებს სცქვეტდა, ცხვირს დაეცქინებდა და გაკვირვებით გადახედავდა.

არსენასაც უკვირდა იმედას ამბავი.—იმედას დილიდან რაღაც მოუსვენრობა ეტეობოდა.

— ალბად გაზაფხული მოუხდა: გამოცქვიტდა იმედა!— ფიქრობდა არსენა და კითხვას განაგრძობდა.

ბოლოს იმედა უცებ წამოხტა. მიუახლოვდა არსენას, დაუეფა ჩამწედარი ხმით და ეეფითვე რაძდენჯერმე გარს შემოუარა. შემდეგ გაჭეეა ეზოს ღობეს; სუნავდა თითეულ მესერს და ეეფით მიჭეებოდა ღობეს გაეოლებაზე.

— ვიღაცა მოდის ალბად!—სთქვა არსენამ; ადგა და გაიხედა ეზოს კარებისკენ. მაგრამ გარშემო არავინ იეო.

ცოცუნია კი ამის დანახვაზე კიბიდან ჩამოხტა, ერთი გრძლად დაიკნავლა და საშზარეულოსკენ გაეშურა. შესვლის წინ ერთი მოიხედა უკან იმედასკენ, გულშემზარავად დაიკნავლა ძაღლის ეშუილზე და სწრაფად შეეარდა სახლში.—თითქოს გარედ დარჩენის შეეშინდა.

ამასობაში იმედამ ეეფით შემოურბინა ეზოს და შეჩერდა უკანა კარებთან. რამდენჯერმე დატრიალდა რგოლებრ ერთ და იმავე ადგილზე და კრუსუნით დაეშვა მიწაზე.



არსენა სწრაფად გამოიქცა მისკენ. გულმა რალაც ისეთი უგრძნო, რომ შიშმა შეიპყრო და ენა ჩაუვარდა. როცა მოუახლოვდა იმედას და დახედა, მუხლები აუკანკალდა და ზარდაცემულმა უკან დაიხია.—იმედა უსულოდ იდგა და სიცოცხლის ნიშანი დაჰკარგოდა.

— დედა!—ძლივს მოასწრო ამის თქმა არსენამ და იქვე გაქვავებული დარჩა...

* * *

ჰატარა ღელის ჰირად არსენას საფლავი გაეთხარა იმედასთვის და დაესაფლავებინა თავისი საყვარელი ძაღლი. ლოდის მაგივრად ლამაზი ქვები შემოეწყო ირგვლივ და სასაფლაოს თავზე ფიცარი ჩაესო ზედ წარწერით: აქ განისვენებს ჩემი იმედა. ჩიტებო, ტკბილად უგალობეთ!

აქვე მახლობლად თავისთვის სკამი გაეწყო. ნასადილევს თავის წიგნით წამოვიდოდა სახლიდან, დაჯდებოდა ღელის ჰირად და მაცადინობდა.

ციცუნიას ახლა არ უწერებოდა არსენა, თუმცა ჰირველად კი ეგონა, რომ ციცუნიას ბრალი ედო იმედას სიკვდილში.

ერთმა გარემოებამ შეუცვალა არსენას ეს აზრი. იმედას დასაფლავების დღეს არსენა ღელეს ჰირად იჯდა და იმედაზე ფიქრობდა. უცებ თვალი მოჰკრა ციცუნიას. ის ფეხაკრეფით მოი-

ბარებოდა საფლავისკენ. არსენა ხეს მოეფარა და ციცუნიას უთვალთვალებდა. ეგონა, რომ კატას ცუდი რამ განზრახვა ჰქონდა. მაგრამ ციცუნია რაღაც მორიდებულად მიუახლოვდა საფლავს, ატირებული ხმით დაიკნავლა, იმედას საფლავთან მიცუცქდა და ცქერა დაუწყო.

არსენას ესიამოვნა; მოშორდა ხეს და ალერსიანად დაუძახა:

— ციბ, ციბ!.. იცი, რომ იმედა აღარ არის?

ციცუნიამ მოიხედა არსენასკენ და გულდათუთქულად დაუკნავლა, თითქო ასეთ ბასუხს აძლევდა:

— ჰო, აღარ გვეყავს იმედა, ჩვენი იმედაო!

ამის შემდეგ არსენამ ციცუნიაზე აზრი შეიცვალა და დაივიწყა ეველაფერი, რაც ციცუნიას იმედას წინააღმდეგ ჩაუდენია...

ლეო ქიაჩელი.



მურია, მელა და გეგია.

(დასასრული).

ეტა ელვაა, თუ რაა,
საიდან ისმის ქუხილი?
იალბუზი თუ გადიქცა,
ან ზღვამ თუ შექნა დუღილი?
ან ცა ინგრევა, ბორტი
სული რამ მოდის უხილი;
ვისია, რისა, რა არი
ეს ამბავი და წუხილი?!
არა, არ ელავს, არცა ქუხს,
არც თუ ინგრევა მთა-ბარი,
მელიკომ ერთი ნახტომით
ქმნა რამე ამბავ-ხაბარი:
ჯერ ელჩს გამოჭკრა კბილები,
ტუჩებში გახსნა ამბარი;
მას მიაყოლა მერანი,
განვლო ბოსტანი ნაბარი.
ჭე, ღმერთო ერთო, სადაურს
საით გასტეორცნი ჭალაში:
რა უნდა ბატს და ეიულიეოს
ჯუდ-გძელ მელიკოს ჩანაში?

რისთვის და ვისთვის გაებნენ
ესოდენ სათაბალაში?!
რა იქნა ელჩის უსტარი,
ან ბატის ბრალ და ბალასში?!.

*
* *

გათენდა დილა, რა დილა,
ლამაზი, საამურია;
მეუდრეზე წამოწოლილა
გულ-არხეინად მურია,
ელის გადუგდონ საუზმე,
ან ჭკადი, ანუ ჰურია,
წვიმის წვალი-კი ბევრია
გუბეში თუ-კი სწეურია.
მაგრამ ვაი თავს, ვაი თავს,
ვაი კუდს მურიასასა!
ჯერ კეტი ერთხელ დაუშვეს,
მერე-კი გაეასასა!
ღმუის მურია, წკმუტუნებს:
დაადო ჰირი და სასა,
გარბის, გამორბის და ნატრობს
მუნ თაგვის სოროს ნახვასა!
,,ჰაი, შე ფინთო, ლაჩარო,
ჩოლფოტო, ღამე მძინარა,
ღირსი ხარ ეგდო წუმჰეში,
ქვეშ არა დამეფინა-რა!''
მურია ფიქრობს: ბებერი
ნეტა რამ გაამძვინვარა?
,,სად არის ბატი, ყიულიყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად გაატანე ფირალსა?
მოსთქვამს და მოსთქვამს ბებერი,
მიმდგარი ღობის პირასა:
შე სულანგარავ, ციმფიავ,
რომ მიეპარე ქილასა;
გასმესი ქონით და მერე
მოჭეე კრუტუნს და ხვრინვასა;
მელას-კი ეური არ უგდე,
მიეგდე თონის ძირასა.“
მურას გვერდები აენთო,
მთელი არც თავი დაურჩა,
სამს ფეხზე გარბის, მეოთხე
კუდისკენ აიკაუჭა;
თეძოზე ბეწვები სცვივა,
ჩამოსდის მუჭა და მუჭა,
და ესდენ ჭირის მნახველი,
ვერაფერს დაებღაუჭა!
წავიდა, გაიკინკილა;
თავი აქვს დასაღწევარი,
თან უკან იგრეხს კისერსა:
შესდგა, თუ მოსდევს მდევარი.
მეტი ვერ შესძლო მურამ,—
მოგიკვდეთ დამაწევარი,—
და მიესვენა იქ, სადაც
ბატს ჭქონდა გასათევარი.
კიტრების ძირში წულულებზე
იდებს ნერწყოთი წამალსა;
იქავე ჭერია ბუმბული,
ფრთა მოჭგლეჯოდა მამალსა;
ფერდ-ფერდზე მიკრულს, ნაგვემსა

კბილები გაეალმასა;
ჯერ მწარე ნახა და ახლა
შეუდგა ტკბილის ჭამასა!
მამლის ფრთასა ჭლრღნის მურია;
თან ფიქრობს: კარგი რამ არი,—
მელა ჭკვიანი ეოფილა,
ბრძენთ-ბრძენების მთავარი;—
მადლობა ღმერთს, რომ მეც შემსვდა
იმისი ნამუშავარი.
და რაღა უდგა ქათამს წინ,
თუ სალაფავი არ არი!
მშვიდობით, ჩვენო ბებერო,
სალამი, ჩვენო საქათმე:
დღიდან ორნი გეწვევით,—
მელია იქით, აქეთ მე;
მე დღისით, მისთვის-კი ღამე
დამილოცნია მმურადა;
ბებრუცის მტერი მეც გაგხდი,
რადგან მიეურებს მტრულადა!
ამიერიდან მურია
ქათამს მიირთმევს ჩუმადა,—
არც ჭხრაკავს, არც ბდღვნის, არც ჭხარშავს,
ბუმბულიანად, უმადა;
მელიაც მიეზიდება,
უეოფს ძმა-ძმობილს ძმურადა;
და ერთ დღეს ვნახოთ ბებერსა
შავმა მზემ გამოუნათა.
იხვი, ბატი და ქათამი
ჭერიან ეელ-გამოჭრილია;
მურია შორიდამ უწვეთ,

ასლო არ მიდის, ფრთხილია;
ბებერი სტირის და მოსთქვამს:
,,ცსადი არი თუ ძილია?
ვაი, რა ავი ეოფილა
წყეულ მელიკოს კბილია!
დავსარდე, როგორ დავსარდე,
როგორის წვით და დაგვითა!
რა კაი ჩრიხვები მეგანდნენ,
სუფველა იმავ თავითა!
ვამბობდი: ჩავსხავ გოდორში;
ქალაქს წავასხავ ნავითა,
დავეიდი, ბურნუთს ვიეიდი,
შეეიმოსები შალითა!''
დაობლდა ეხო, დაობლდა,
მურიაც გამოეცალა;
რა ჭამოს, რადა ძიირთვას,
კალოზე გაიცანცალა.
მხოლოდ ბებერი ეოველ დღე
საქათმის კართან კუნტია,
თავი ძირს ჩაუქინდრია,
ტუჩები გაუბუტია;
მოსთქვამს: ,,მშეიდობით, ბურნუთო,
კოლოფო შავის ძელისაო,
ცარიელია საქათმე,
ცარიელია ქისაო!''

*
* *

ხალხში ხმა არი, ამბობენ,
ვითომც მას აქეთ ბებია
საქათმეს უხის, მის კარებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც არ მოჭშორებია;
თვითონაც საქათმესავით
ჩამოჭშვებია მხრებია,
ქათმის დარდით და ვარამით
საქათმეს დაჭმზგავსებია.
მურასაც თურმე მელია
ძალიან შეჭვარებია:
საცა შეხვდება, მზადა აქვს
მის დასაკოცნად ებებია,
და მელიას-კი კუდიო
იმიტომ დაჭგძელებია,
რომ, რაც ბებიას დააკლდა,
იმის კუდს შეჭმატებია!

ი. ევდოშვილი.





ბუზი.

(ფრანგულით).

ოგია ძლიერ გართულია მუშაობაში: წამოჩოქილა და რაღაცას თვალს არ აშორებს. ეს საწყალი ბუზია, რომელსაც სათითაოდ ფრთებსა და ფეხებს აგლეჯს.

ბიძია მივიდა გოგიასთან, უნდოდა ენახა, თუ რას აკეთებდა ბავშვი.

— გოგია!

გოგიამ მოიხედა. ბიძია ისეთის მწუხარებით უცქერდა, რომ ბავშვმა თავი ჩაღუნა.

— რადა სჩადი ამას, გოგი?

— მინდა... გავერთო... ისე.

ბიძიამ ბუზი მოჭკლა, რომ ტეუილად არ დატანჯულიეო, გოგია მუხლებ შუა დაიყენა და 5—6 თმა მოაგლიჯა.

პატარა ბიჭუნია ძლიერ ეკვიროდა:

— ვაიმე, ვაიმე, მტკივა, მტკივა! სამაგელო, რა გინდა ჩემგან?

თან ღაპა-ღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა.

— მეც შენსავით გიპასუხებ: მინდა გავერთო,—წყნარად უთხრა ბიძიამ.

— სამაგელო!—გაიმეორა გოგიამ.

— შენ-კი არ იყავი სამაგელი?!

— ბუზი ხომ არა ყვირიოდა?

— შეიძლება არ იყვირო, მაგრამ მაინც გამწარდე.

— მართლა?

— მართლა. დარწმუნებული იყავი.

— მე ეგ არ ვიცოდი.

— ახლა ხომ იცი?

— ჰო. მე თავის დღეში ფრთებსა და ფეხებს აღარ დავაგლეჯ საწყალ ბუზებს.

— ძალიან კარგი.

ბიძიამ გაუშვა ბავშვი, რომელიც დაღონებული წავიდა; აიღო მოკლული ბუზი და თვისი უმანკო გულით სიბრალულსა გრძნობდა. თავისი საქციელი თვითონვე დაჰგმო...

ვ. კ.



როგორ იცავენ ცხოველები თავს მტრისაგან.

(შემდეგი).



ერთ ჭიას შესანიშნავი ჩვეულება აქვს, რომელიც მტრისაგან თავის დაფარვაში ძალიან შველის: ეს ჭია დასვენების დროს თავისი ტანის უკანა ნაწილით ხის ტანს ანუ შტოს მიეკვრება ხოლმე; წინა ნაწილი აწეული აქვს და ამ მდგომარეობაში ძალიან ჰგავს პაწაწინა შტოს.

წინად ჩვენ ლაპარაკი გვქონდა მფარველ ფერზე, რომელიც ცხოველების მუდმივ თვისებას შეადგენს. არიან ისეთი ცხოველებიც, რომელნიც ფერს დროისა და გარემოების მიხედვით იცვლიან. ამ ბრით ქვეყლაზე შესანიშნავი ქამელეონია.

შტოს მზგავსი ჭია.

ეს ცხოველი გარეგნობით ხვლიკს წააგავს. ერთი რაიმე განსაზღვრული ფერი არა აქვს: იმისი ფერი მუდმივ იცვლება. როცა ქამელეონი მწვანე ხის შტოზე ზის, ისიც მწვანეა; მაგრამ—აი ის გადაცოცდა ხის ტანზე,—აქაც ფერი ეცვლება, ხის ტანის ფერისა ხდება. დღისით ჩრდილში ერთი ფერი აქვს, მზეზე—სხვა, ღამე-კი—სულ განსხვავებული.

ეს თვისება ძალიან შველის ქამელეონს. ის ერთობ უმწეო ცხოველია: გაქცევა და ხტომა არ შეუძლია, არც სხვა რამე საშველება აქვს მტრის წინააღმდეგ მოსახმარად, და რომ ფერის ეს ცვალებადობა არა, იმისი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა.

ერთ დროს ფიქრობდნენ, ქამელეონი თავის ნებით იცვლის ფერსაო, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფერის გამოცვლა მის ნებაზე არა ჰკიდია.

ქამელეონი.

ჩვენ რომ მძინარე ქამელეონს დავაკვირდეთ, შეგამჩნევთ, რომ ის მოშავოა. გავანათოთ და დავინახავთ, რომ მოშავო ფერი შეეცვლება უფრო ღია ფერად; ცხოველს-კი სძინავს. ახლა სანთელი ისე დავიჭიროთ, რომ სინათლეში იყოს ქამელეონის მთელი სხეული-კი არა, მხოლოდ ერთი ნაწილი: მაგალითად—უკანა ფეხები და კუდი; წინა ფეხები და სხეულის წინა ნაწილი-კი გაუნათებელი დარჩეს. ჩვენ დავინახავთ, რომ წინა ნაწილს ქამელეონის სხეულისას ერთი ფერი აქვს, უკანა ნაწილს-კი სხვა. ეს ცდა აშკარად ამტკიცებს, რომ ქამელეონი ფერს იცვლის არა იმიტომ, რომ მას ეგრე სურს; არა,—აქ მის სურვილს არავითარი გავლენა არა აქვს. აქ უმთავრესი მიზეზი ქამელეონის ფერის ცვალებადობისა სინათლე, სინათლის სხივებია: რა ფერისაცაა ის სინათლე, რომელიც იმის ტანს ადგა, იმ ფერს ითვისებს ქამელეონიც. თეთრ სინათლეზე—ისიც თეთრდება, მწვანეზე—მწვანე ფერისა ხდება და სხვა.

ეს თვისება მარტო ქამელეონის თვისება როდია: არიან სხვა ცხოველებიც, რომელნიც ფერს იცვლიან დროისა და არეს მიხედვით. თუ ჩვენ ქამელეონი მოვიეგანეთ მაგალითად,

ეს იმიტომ, რომ ეს თვისება ამ ცხოველში უფრო გარკვეული და თვალსაჩინოა.

ბევრი ცხოველი იცვლის ფერს წელიწადის დროის მიხედვით. ჩრდილოეთ-რუსეთში და კავკასიის მთებშიაც ბინადრობს ფრინველი, რომელსაც თეთრი კაკაბი ჰქვია. ზაფხულში ის თეთრი-კი არა, მოშავო—რუხია. ზაფხულში ფრიად სასარგებლოა ამ კაკაბისათვის ეს ფერი: ის ძნელი დასანახავია, როცა მიწაზე ზის. მაგრამ ზამთარში, როცა ყველაფერი თოვლითაა დაფარული, მოშავო ფერი ამ ფრინველისათვის საზარალოა, იმიტომ რომ ის მაშინ ადვილი დასანახია. მაგრამ ზამთარში კაკაბი სრულებით იცვლის ფერს: სუფთა-კი თეთრი ფერისა ხდება. თუ თეთრი კაკაბი თოვლზე ზის, იმისი დანახვა შეუძლებელია; შეიძლება ფეხი დაადგათ, მაგრამ დანახვის-კი რა მოგახსენოთ.



თეთრი კაკაბი ზაფხულში.

მაგრამ აი ზამთარიც მიიწურა, თოვლმა დნობა იწყო. აქა-იქ მიწაც გამოჩნდა, ტყე ამწვანდა: ერთის სიტყვით ბუნება ფერს იცვლის, კაკაბიც ბუნებას ჰბაძავს: იმასაც ეცვლება ფერი, იმისი ბურტული—ბუმბული თან-და-თან შავდება და მალე მასაც ჩვეულებრივი, საზაფხულო ფერი გადაეკვრის.



თეთრი კაკაბი ზამთარში.

ამ გვარადვე ეცვლება ფერი კურდღლის ერთ მოდგმას. ეს კურდღელი წლის განმავლობაში ორჯელ იცვ-

ველის ფერს; ზაფხულობით მოშავოა, რაც უადვილებს მტრებისგან დამალვას შავ, დაბურულ ტუეში; მოშავო ფერი მისთვის ზამთარში ჰირდაჰირ დამღუპველი იქნებოდა, რადგან თოვლით დაფარულ მინდორში, ან ტუეში მტერი ადვილად შეამჩნევდა. მაგრამ ბუნებამ მას მზრუნველობის კალთა გადაუფარა: ზამთარში იგი თოვლივით თეთრდება. ვსთქვათ, კურდღელი წევს თოვლზე, გამოჩენილ ალაგას; შეიძლება მასთან ახლოს გაიარონ, სულ ორი ნაბიჯის მანძილზე, და მაინც ვერ შეამჩნიონ. ზამთარში კურდღელს აუარებელი მტერი ჰყავს ტუეში: მტაცებელი ფრინველი, ტურა, მგელი, მელა და ბოლოს ადამიანი თავისი თოფით. ცუდი დღე დაადგებოდა ამ კურდღელს, ბუნებას რომ ის არ დაეჯილდოებინა შიშით, სწრაფი სირბილით და განსაკუთრებით-კი ფერის ცვალებადობით.

გ. ანთელიძე.

(შემდეგი იქნება).



რებუსი.

(წარმოდგენილი გ. ლეონიძისაგან).

„
ყ
ვ ,

, ს
რ


გ

„ , ა
ფ ხ

,

,

ა
ყ ვ

,

,
„

„ ნ ,—

მე 6 №-ში მოთავსებულ გეოგრაფიულ ამოცანის ალსნა:
არაქსი, რიონი, ალაზანი, გოგჩა, ვაჩნაძიანი, იორი.

რედაქტორი: ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი: თ. პ. ი. თუმანიშვილი.

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.**—ფასი. 30 კ.

2) **ტომის თავგადასავალი,**—თხზულება მარკ ტვენისა, ფასი . . . . . 50 კ.

3) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზულება ავენარიუსისა, ფასი . . . . . 20 კ.

4) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. 1 მ. — „

5) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა ჩარლზ დიკკენსისა, ფასი. . . . . 25 კ.

6) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები**—ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა. ფასი . . . . 30 კ.

7) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . 60 კ.

8) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა ფასი . 15 კ.

9) **სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,**—ივანე ელიაშვილისა ფასი. . . . . 30 კ.

10) **ამხ. „ცისკრის“ გამოცემა:**—ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი . . . , . . 5 კ.

11) **შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,**—ნინო ნაკაშიძისა ფასი, ... 5 კ.

12) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა. ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა **5** მან. ნახევარ წლით — **3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი — **3** მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი — **3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., კოლეგ. ბრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში** — ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, და მარიამ ეკუხიშვილთან. **სამტრედიაში:** ივანე გლადკოვთან, **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში** — კ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში** — ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში** — დეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო ბაბატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში** — ნინო დომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში** — კ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში** — ივანე გომელაურთან, **განჯაში** — ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში** — კ. ოდიშარიანთან, **სილნალში** — ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**